კაზუსი (ექსპერტის დასკვნა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი)**:**

თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავდა სისხლის სამართლის საქმეს ავტო-საგზაო შემთხვევის გამო ბრალდებული გოგლა ჩალაძის მიმართ. ბრალდების მხარემ სხდომაზე გამოიკვლია საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა და დაკითხა ექსპერტი. დასკვნა ადასტურებდა გ.ჩალაძის ბრალეულობას, ხოლო დაკითხვისას ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტიზის ჩატარებისას გამოიყენა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, რომელიც იყო ხარვეზიანი, რადგან არ იყო აღწერილი ყველა გარემოება (მანქანის გაჩერების ადგილი, სხეულის მდებარეობა და სხვა) და ამიტომ დასკვნის შედგენისას იხელმძღვანელა დადგენილი ცხრილებითა და მიღებული პროპორციებით. თუ მას ზუსტად ეცოდინებოდა გარემოებები, დასკვნა შესაძლოა რადიკალურად განსხვავებული ყოფილიყო.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმთან დაკავშირებით, სხდომაზე დაიკითხა ოქმის შემდგენი გამომძიებელი, რომელმაც ზეპირი ჩვენებით შეავსო მონაცემები ოქმში გამორჩენილი გარემოებების შესახებ. სხვა მხრივ, ოქმი შედგენილი იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებით გათვალისწინებული წესების თანახმად.

განაჩენის დადგენისას, საქმის განმხილველმა მოსამართლემ საერთოდ არ გაიზიარა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი მისი ხარვეზის გამო და, ასევე, არ გაიზიარა ექსპერტის დასკვნა, რადგან მიიჩნია, რომ ექსპერტის დასკვნა ემყარებოდა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს და სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასკვნაც დაუშვებელი იყო და იურიდიული ძალა არ გააჩნდა.

განიხილეთ კაზუსი და გაეცით სამართლებრივად დასაბუთებული და არგუმენტირებული პასუხი კითხვებს:

1. კანონიერი იყო თუ არა მოსამართლის მოქმედება შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმთან მიმართებაში? (0-50 ქულა)

2. კანონიერი იყო თუ არა მოსამართლის მოქმედება ექსპერტის დასკვნასთან მიმართებაში? (0-50 ქულა)

სავარაუდო პასუხი: სსსკ-ის 47-ე, 134-ე, 135-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის დაუშვებლად ცნობისა და საერთოდ არ გაზიარების საფუძველი არ არსებობდა და მოსამართლის მოქმედება უკანონოა. რაც შეეხება ექსპერტის დასკვნას, მოსამართლის მიერ მისი არ გაზიარება იმ საფუძვლით, რომ ოქმის საფუძველზე მოპოვებული იყო და სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენდა - უკანონოა. სსსკ-ის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასკვნა დასაშვები მტკიცებულება იქნებოდა მხოლოდ მისი შემდგენი პირის სასამართლოში დაკითხვის შემთხვევაში. მართალია ექსპერტმა სასამართლოში ჩვენება

მისცა, თუმცა მან დასკვნაში მოყვანილი მოსაზრებები კი არ დაადასტურა და გაამყარა, არამედ, პირიქით, განაცხადა, რომ გარემოებების შესახებ ზუსტი ინფორმაცია თუ ექნებოდა, დასკვნა შესაძლოა რადიკალურად განსხვავებული ყოფილიყოვო. დასკვნა არ უნდა იყოს გაზიარებული, როგორც ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულება სსსკ-ის 78-ე მუხლის პირველი ნაწილისა და სსსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად.